




Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej



polska pomoc




Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული აქტივობის მხარდაჭერა




პროფესიული აქტივობის გაზრდის ინსტრუმენტები იყოფა:

- მიმართული დამსაქმებელისადმი, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს ასაქმებენ
- მიმართული უშუალოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისადმი, რომლებიც სამსახურის ძიებაში და დაუსაქმებელნი არიან ან დაკავებულნი არიან კომერციული საქმიანობით



დასაქმების მხარდაჭერის ინსტრუმენტები მიმართული დამსაქმებლებზე, რომლებიც ასაქმებენ შშმ პირებს

1. შშმ თანამშრომლის ხელფასის თვიური დაფინანსება;
2. შშმ თანამშრომლებისათვის სამუშაო ადგილის ადაპტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება;
3. შშმ თანამშრომლებისათვის სამუშაო ადგილის დამატებითი აღჭურვილობის ხარჯების ანაზღაურება;
4. შშმ თანამშრომლის კურსების ხარჯების ანაზღაურება;
5. შშმ თანამშრომლის ასისტენტის დასაქმების ხარჯის ანაზღაურება;
6. ფულის გადარიცხვა შეზღუდულ შესაზღვებლობის მქონე პირთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდში (PFRON) - შეღავათები სავალდებულო გადასახადებზე.



მხარდაჭერის ინსტრუმენტები მიმართული უშუალოდ ადამიანებისადმი, რომლებიც უმუშევრები, სამსახურის ძებნაში ან დაუსაქმებელ მდგომარეობაში იმყოფებიან

- კომერციული საქმიანობის დასაწყებად ფინანსური დახმარების მიღება, ან სამეურნეო სოციალურ ასოციაციაში წვლილის შეტანა;
- მონაწილეობის მიღების საშუალება:
 - ✓ ტრენინგები,
 - ✓ სტაჟირება,
 - ✓ საინტერვენციო სამუშაოები,
 - ✓ ზრდასრული ადამიანების პროფესიული მომზადება,
 - ✓ სამედიცინო ან ფსიქოლოგიური გამოკვლევები, რომლებიც აღწერილია პარ. 2 აქტ . 3 - დასაქმების და შრომის ბაზრის ინსტიტუციების საინფორმაციო აქციები,
 - ✓ დამატებითი უმაღლესი განათლება,
 - ✓ სატრენინგო კუპონები.



დასაქმების მხარდაჭერის ინსტრუმენტები მიმართული შშმ ადამიანებისადმი, რომლებიც ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას

- 50 % კრედიტის დაფინანსების შესაძლებლობა
კომერციული საქმიანობის გაგრძელებისათვის
- დაზღვევის ხარჯების ანაზღაურების
შესაძლებლობა, რომლებიც დაკავშირებულია
კომერციულ ან სამეურნეო საქმიანობასთან




რეალიზატორები:

- საფინანსო და საგადასახადო მომსახურებით ასევე ანაზღაურებით დაკავებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდი(PFRON)
- სხვა ინსტრუმენტებით დაკავებულია პროექტის თვითმმართველობა(სტაროსტა)



Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej



polska pomoc



Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych

დასაქმების მხარდაჭერის
ისტრუმენტები მიმართულია
დამსაქმებლებზე, რომლებიც
ასაქმებენ შშმ პირებს



შშმ პირების ანაზღაურების დაფინანსება

პარ. 26ა კანონის რეაბილიტაციის შესახებ (...)

- შრომისა და სოციალური პოლიტიკის
მინისტრის ბრზანება 9 იანვარი 2009 წ. შეეხება
თვითური ანაზღაურების დაფინანსების შშმ მქონე
თანამშრომლებისათვის (პარ. აქტ. 2014 წ. პოზ.
214 შემდეგი ცვლილებებით)



Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej



Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych

შშმ თანამშრომლების ანაზღაურების დაფინანსება

შშმ თანამშრომლების ანაზღაურების
დაფინანსება შემოღებულ იქნა **2004 წ.**

ამჟამად წარმოადგეს **მხარდაჭერის მთავარ
ინსტრუმენტს** შშმ თანამშრომლების დასაქმებაში.
ამ მიზნით გამოიყოფა წლიურად შშმ პირთა
რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდიდან
დაახლოებით **3 მილიარდი ზლოტი.**

სარგებლობს დაახლოებით **20 ათასი
დამსაქმებელი** და **246 ათასი დასაქმებული პირი.**



ვის ეკუთვნის დაფინანსება

დაფინანსება ეკუთვნის **დამსაქმებელს**
რომელიც:

- სულ ასაქმებს **25 მდე თანამშრომელს** შშმ პირების **დასაქმების დონის** მაჩვენებლის მიუხედავად
- სულ ასაქმებს **25 თანამშრომელზე მეტს** მათ შორის შშმ პირების რაოდენობა აღწევს მინიმუმ - 6%.



ვის ეკუთვნის დაფინანსება

დაფინანსება ეკუთვნის დამსაქმებელს, რომელსაც არ გააჩნია **დავალიანება** შშმ ადამიანების სახელმწიფო ფონდში **100 ზლოტზე** მეტი.

თუ დამსაქმებელს აქვს დავალიანება ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილების თანახმად დაფინანსება წყდება დამსაქმებლის მიერ დავალიანების დაფარვამდე.

იმ შემთხვევაში თუ დამსაქმებელმა არ დაფარა ფონდის დავალიანება შემდეგი წილის 31 იანვრამდე, მას **შეუწყდება** დაფინანსება.



რომელ თანამშრომლებს ეკუთვით დაფინანსება

დაფინანსება ეკუთვნის იმ თანამშრომლებს, რომლებიც დასაქმებულნი არიან შემდეგი კონტრაქტებით:

- მუდმივი დასაქმების კონტრაქტი,
- თანამდებობაზე აყვანის,
- თანამდებობაზე დანიშვნის,
- არჩევის
- კოოპერატიული მუდმივი დასაქმების კონტრაქტი.

სოციალურ საწარმოებში დაფინანსება ასევე ეკუთვნით ზოგიერთ მუშაკებს, რომლებიც **ელასტიური დასაქმების** საფუძველზე მუშაობენ.



რომელ თანამშრომლებს ეკუთვით დაფინასება

დაფინანსება ეკუთვნის იმ თანამშრომლებს, რომელთა შეზღუდვა(მძიმე, საშუალო, მსუბუქი) იყო დამტკიცებული სამართლებრივი გზით (შეზღუდვების დონე აღნიშნულია სტატუსში).

* * *

დაფინასება არ ეკუთვნის საშუალო ან მსუბუქი შეზღუდვის მქონე თანამშრომელს, რომელსაც კანონის თანახმად დაენიშნათ პენსია.



დაფინანსების ზომა

დაფინანსება არ შეიძლება აღემატებოდეს ქვემო ჩამოთვლილ თანხებს:

- დაფინანსების საბაზო თანხას,
- ანაზღაურების ლიმიტს,
- ანაზღაურებას, რომელიც ნაწილობრივ არ არის დაფინანსებული საჯარო თანხებიდან.



დაფინანსების საბაზო თანხა

დაფინანსების საბაზო თანხა დამოკიდებულია:

- შეზღუდვის დონეზე,
- შეზღუდვის სახეობაზე,
- თანამშრომლის სამუშაო საათების რაოდენობაზე თვის განმავლობაში.

წარმოადგენს საშუალო თვიური ნამუშევარი დროის და დაფინანსების ინდექსის ნამრალს.



Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej



Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych

საშუალო თვითური სამუშაო დროის რაოდენობა

საშუალო თვითური სამუშაო დრო
წარმოადგენს ნომინალური დროის (მაგ.
განუსაზღვრელი დროით დასაქმების
ხელშეკრულების შესაბამისად) და
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის
სამუშაო დღეების კალენდარულ დღეებთან
შეფარდების ნამრავლს



დაფინანსების თანხის რაოდენობა

- **1800 ზლ** – იმ შემთხვევაში თუ შშმ პირი ეკუთვნის შეზღუდვის მძიმე კატეგორიას
- **1125 ზლ** – იმ შემთხვევაში თუ შშმ პირი ეკუთვნის შეზღუდვის საშუალო კატეგორიას;
- **450 ზლ** – იმ შემთხვევაში თუ შშმ პირი ეკუთვნის შეზღუდვის მსუბუქ კატეგორიას



Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej



Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych

დაფინანსების თანხის რაოდენობა

ყურადღება:

- ზემო ჩამოთვლილი თანხები იზრდება 600 ზლოტით იმ შემთხვევაში თუ შშმ პირს ასევე აღენიშნება პსიქიკური დაავადება, გონებრივი დაქვეითება, სრულიად დარღვეული განვითარება ან ეპილეფსია და სიბრმავე.



გადასახადების ლიმიტი

ხელფასის ლიმიტია:

- 90% ხელფასის თუ დამსაქმებელი არ აწარმოებს კომერციულ საქმიანობას ან
- სხვა შემთხვევებში - 75% თანამშრომლის ხელფასის .

ხელფასი - ეს არის ანაზღაურება ბრუტო დამსაქმებლის სავალდებულო გადასახადებთან ერთად (დაზღვევის, საპენსიო ფონდის, ინვალიდობის და უბედური შემთხვევის გადასახადები ასევე სავალდებულო გადასახადი შრომისა და გარანტირებული სარგებელის ფონდში).



Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej



Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych

ორმაგი დაფინანსების გაუქმება

სახელოსო ხარჯები საჯარო თანხებით
დაფინანსების გარეშე წარმოადგენს შშმ
თანამშრომლის ხელფასს საჯარო დაფინანსების
გამოკლებით

მაგრამ არ მცირდება ხელფასის რაოდენობით,
რომელიც დაფინანსებულია საზოგადო
რესურსებიდან, ანუ კომერციული წარმოებიდან
ან სხვა და სხვა საზოგადო შემოსავლებიდან.



ხელფასზე გაწეული ხარჯების ფაქტიური მტკიცებულება

დაფინანსება ეკუთვნის პირს თუ მისი ხელფასი
გადაირიცხა:

- თანამშრომლის საბანკო ანგარიშზე,
- საკრედიტო-ეკონომიურ კოოპერატიულ ანგარიშზე,
- თანამშრომლის საცხოვრებელ მისამართზე,
იურიდიული პირების შუამავლობით, რომლებიც
აწარმოებენ ფულადი გზავნილების რეალიზაციას.



Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej



Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych

ხელფასის დროულად ანაზღაურების ვალდებულება

დაფინანსება არ ეკუთვნის თუ თვიური
ანაზღაურება განახორციელა დამსაქმებელმა
**დადგენილი ვადების დარღვევით, არა
უმეტეს 14 დღის, რაც გამომდინარეა
ცალკეული რეგულაციებიდან.**



განცხადება დაფინანსებაზე

დაფინანსება არის დახმარება, რომელიც გამოყო შშმ პირთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდმა, დამსაქმებელის სავალდებულო ელექტრონული წერილობითი თხოვნით.

განცხადება ცალკეულ თვეებზე **Wn-D** ინფორმაციებთან ერთად **INF-D-P** (ეგზემპლარი თითოეული თანამშრომლისთვის, რომელზეც უნდა გამოიყოს დაფინანსება) უნდა ჩაბარდეს PFRON – ში **დასაქმების დღიდან შემდგომი თვის 25 რიცხვამდე.**



საწყისი შემოწმება

14 დღის განმავლობაში მოწმდება განცხადების ანგარიშსწორების და შინაარსობრივი მხარე.


თუ განაცხადი სწორია, ამ შემთხვევაში შშმ პირების რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდი აცნობებს პირს, რომელმაც შეიტანა განცხადება. დაფინანსების გადარიცხვის ათვლა იწყება განცხადების შეტანის დღიდან.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი არასწორია, დამსაქმებელი 7 დღის განმავლობაში უნდა განაცხადდეს ამ შეცდომების შესასწორებლად. შეცდომების შესწორებისთანავე ათვლა იწყება განცხადების შესწორების დღიდან,

ხოლო თუ განაცხადში შეცდომები არ შესწორდება იგი არ განიხილება.



Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej



polska pomoc



Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych

განაცხადის განხილვა

ფორმალურად და შინაარსობრივად
შესწორებული განაცხადის შეტანის დღიდან 25
დღის განმავლობაში მოხდება **დაფინანსების
ჩარიცხვა**.

ამ დროის განმავლობაში შშმ პირების
რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდი **ამოწმებს**
აქვს თუ არა დამსაქმებელს ფონდის დავალიანება
ან შეტანილია თუ არა ერთი და იგივე პირის
დაფინანსებაზე რამოდენიმე განაცხადი.



დამსაქმებლების უფლებების დაპირისპირება 1

როდესაც თანამშრომელი დასაქმებულია
რამოდენიმე დამსაქმებელთან **მთლიანი
განაკვეთის** გადაჭარბების გარეშე, ამ
შემთხვევაში დაფინანსება ეკუთვნის
თითოეულ დამსაქმებელს სამუშაო დროის
პროპორციულად.



დასაქმებლების უფლებების დაპირისპირება 2

როდესაც თანამშრომელი დასაქმებულია რამოდენიმე დასაქმებელთან **მთლიანი განაკვეთის** გადაჭარბებით, ამ შემთხვევაში დაფინანსება ეკუთვნით დასაქმებული პირის **არაუმეტეს მთლიანი განაკვეთის** ანაზღაურებისა.

პირველ რიგში დაფინანსება ეკუთვნის დასაქმებულს, რომელმაც პირველმა დაასაქმა თანამშრომელი სამუშაო დროის პროპორციულად.

ასეთი პროცესი გვეხმარება თავი ავარიდოთ ფიქციურ დასაქმებას



შემოწმების პროცესი

შშმ პირების რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდს
შეუძლია ჩაუტაროს კონტროლი, რომელიც შეამოწმებს:

- **Wn-D** და **INF-D-P** -ში შეტანილი მონაცემების რეალურ მდგომარეობასთან შესაბამისობას
- დამსაქმებლის ეკონომიურ სიტუაციას, რომელიც აწარმოებს ეკონომიკურ საქმიანობას,
(ამას აქვს მნიშვნელობა საზოგადოებრივი დახმარების კოოპერატივების შემთხვევაში)

შემოწმების პროცესის ხანგრძლივობა-მაქსიმალურად 14 დღე, ამ ვადაში უნდა შესრულდეს დაფინანსების ჩარიცხვა.



დაფინანსების ჩარიცხვა

შშმ პირების რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდი აკეთებს დაფინანსების გადარიცხვას დამსაქმებლის საბანკო ანგარიშზე ასევე აცნობებს შეთანხმების შესახებ, თუ ეს თანხა განხსვავდება თანხისგან, რომელიც მითითებულია.

ინფორმაციის მიღებიდან 14 დღის განმავლობაში შემოსული განცხადების საფუძველზე დამსაქმებელი ღებულობს გადაწყვეტილებას გადასახადების დავალიანების შესახებ (რომლის გასაჩივრება შეუძლია)

თუ შშმ პირების რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდი არ ჩარიცხავს შეთანხმებულ დროში დაფინანსებას, ამ შემთხვევაში თანხას ემატება პროცენტი, გადასახადის დავალიანების შესაბამისად.



Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej



Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych

გადარიცხვის შემდგომი კონტროლი

შშმ პირების რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდს
შეუძლია ჩაუტაროს დამსაქმებელს კონტროლი
დაფინანსების დარგში მაგ. რამდენად შეესაბამება **Wn-D** i
INF-D-P ის ონფორმაცია ერთმანეთს ან დაფინანსების
ჩარიცხვირს საფუძვლიანობა.

შშმ პირთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდის მიერ
ჩატარებული კონტროლის ან საბუთების ანალიზის
შედეგად აღმოჩენილი დარღვევების შემთხვევაში,
გაეცემა ბრძანება დაფინანსების ნაწილის(დარღვევის
ფარგლებში) დაბრუნების შესახებ და ასევე დაფინანსების
შეჩერების შესახებ თანხის დაბრუნების მომენტამდე.



პრობლემური გადაწყვეტილებები

- არ არის ვალდებულება დაიფაროს ანაზღაურების თანხა მთლიანად განაცხადის შეტანამდე,
- თანამშრომლების ხელფასების ანაზღაურების შესაძლებლობა (14 დღის დაგვიანებით დაფინანსების დაკარგვის გარეშე)
- შშმ პირთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდის მიერ კონტროლის დაწყებისათვის გამჭირვალე კრიტერიუმების არარსებობა.



Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej




Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych

დამატებითი ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც
გაწეულია შშმ პირისთვის სამუშაო ადგილის
ადაპტირების ან ასისტენტის დასაქმების მიზნით

პარ. 26 და 26დ წესდება რეაბილიტაციის
შესახებ(...)

▪ 2011 წ.11 მარტს შრომისა და სოციალური
პოლიტიკის მინისტრის ბრძანება შშმ პირთა
დასაქმებისათვის გამოყოფილი დამატებით
თანხების შესახებ

(თ. წეს. ნომ 62, შემ. 316 შემდგომი ცვლილებით)



დამატებითი ხარჯების ანაზღაურება სამუშაო ადგილის ადაპტირებისათვის

ანაზღაურება ხდება შემდეგ შემთხვევაში:

- შენობის და სამუშაო ადგილის ადაპტაცია და აღჭურვა შშმ პირებისათვის განსაკუთრებულად ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ან შესაბამება ამ პირებისთვის საჭიროების მიხედვით;
- სამუშაო ადგილის ადაპტაცია ან აღჭურვა შშმ თანამშრომელის მუშაობის, ფუნქციონირების გაადვილების მიზნით;
- პროგრამების და დამხმარე ტექნიკის ყიდვა და ავტორიზაცია, ადაპტაცია შშმ თანამშრომლების საჭიროებების შესაბამისად;
- სამედიცინო სამსახურის მიერ ზემო ჩამოთვლილი საჭიროების დადგენა.



დამატებითი ხარჯების ანაზღაურება, რომელიც მოხმარდა სამუშაო ადგილის ადაპტაციას

პირობები:

- ეხება შშმ პირებს, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან დასაქმების სახელმწიფო ბიუროში, როგორც უმუშევრები ან ეძებენ სამსახურს(ამავე დროს არიან უმუშევრები) ან ისინი ვინც მუშაობის დროს დაინვალიდნენ;
- დამსაქმებელმა უნდა დაასაქმოს შშმ პირი მინიმუმ 36 თვით;
- შრომის სახელმწიფო ინსპექციის დადებითი დასკვნა-სავალდებულოა;
- ხარჯების ანაზღაურება- ხელშეკრულების თანახმად, რომელიც დაიდო დამსაქმებელსა და სტაროსტას შორის;
- დახმარების რაოდენობა: მაქსიმალურად საშუალო ანაზღაურების 20 ჯერადი დახმარება.



დამატებითი ხარჯების ანაზღაურება, რომელიც მოხმარდა სამუშაო ადგილის ადაპტაციას

ყურადღება:

- დამატებითი ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც შშმ პირთა სამუშაო ადგილის ადაპტაციას მოხმარდა, ეხება მარტო დამსაქმებლის დამატებით ხარჯებს, რომლებიც გამომდინარეობს შშმ პირის დასაქმებიდან;
- სამუშაო ადგილის ადაპტაციის ხარჯების ანაზღაურება იმ დამსაქმებლის შემთხვევაში, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, დამოკიდებულია გააჩნია თუ არა მის საქმიანობას სოციალური დახმარების სახე.



შშპ პირის ასისტენტის დასაქმების ხარჯების ანაზღაურება

- დახმარება კომუნიკაციაში, ან ძნელი სამუშაოს შემთხვევაში, რომლის დამოუკიდებლად შესრულება შეუძლებელია
- ასისტენტის სამუშაო საათები არ უნდა აღემატებოდეს 20%.



შშმ პირის დასაქმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი

განაცხადი უნდა ჩაბარდეს:

- 1) შშმ მირთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდში - იმ შემთხვევაში თუ განაცხადი შეაქვს სტაროსტას (თვითმმართველობის ხელმძღვანელი);
- 2) შესაბამისი სტაროსტა შემდეგი პირობების თანახმად:
 - ✓ შშმ პირის რეგისტრაციის ადგილი, რომელიც უმუშევარია, ან სამსახურის მიებაშია(არის დაუსაქმებელი)- იმ შემთხვევაში თუ ხარჯების ანაზღაურება ეხება ამ ადამიანს;
 - ✓ შშმ პირის დასაქმების ადგილი, დამსაქმებლის ოფისის ან საცხოვრებელი მისამართი - სხვა შემთხვევებში.



განცხადების წინასწარი განხილვა

სტაროსა ამოწმებს განაცხადების ფინანსურ და
ფორმალურ მხარეებს;

იმ შემთხვევაში თუ განაცხადში შეცდომებია, სტაროსტა:

- ატყობინებს დამსაქმებელს შეცდომების შესახებ
განაცხადის ჩაბარებიდან 14 დღის განმავლობაში და ასევე
- იწვევს განმანაცხადებელს შეცდომების
შესასწორებლად განაცხადის შეტანიდან 14 დღის ვადაში.



განაცხადის განხილვა

სტაროსტა წერილობით აცნობებს დამსაქმებელს მისი განაცხადის განხილვის შესახებ სრული გასწორებული განაცხადის და დანართების მიღების შემდეგ 30 დღის ვადაში ;

იმ შემთხვევაში თუ გაიცემა უარყოფითი პასუხი უნდა გაიცეს ახსნა-განმარტება;

თუ კი დადებითად განიხილა განაცხადი, ამ შემთხვევაში სტაროსტა აცნობებს დამსაქმებელს განხილვის შესახებ და იწვევს მას ხელშეკრულების პირობების შესათანხმებლად. შეთანხმება უნდა მოხდეს მოწვევის მიღებიდან 14 დღემდე.



ხელშეკრულების დადება

პირობების შეთანხმებიდან 14 დღის განმავლობაში სტაროსტა დებს ხელშეკრულებას დამსაქმებელთან ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, რომელიც დაწვრილებით არწერს მხარეების ვალდებულებებს

სტაროსტა ვალდებულია:

- აანაზღაუროს ხარჯები, რომლებიც ხელშეკრულებიდან არის გამომდინარე,
- ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ერთი კონტროლი მაინც ხელშეკრულების პირობების დამსაქმებლის მიერ შესრულების დარგში;

2) დამსაქმებელი ვალდებულია:

- გაწიოს ხარჯები, რომლებიც ხელშეკრულებაშია აღწერილი,
- დაასაქმოს შშმ პირი,
- ხელი შეუწყოს სტაროსტას კონტროლის ჩატარებაში,
- გადასცეს ინფორმაცია სტაროსტას ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა ცვლილებების შესახებ, ცვლილებებიდან 7 დღის განმავლობაში,
- ანაზღაურებული ხარჯების ანგარიშსწორება, ხელშეკრულებაში აღნიშნული მეთოდის გამოყენებით.

ყურადღება:

ხელშეკრულება იდება წერილობით ფორმაში. ყველა ცვლილება ასევე უნდა შედგეს იგივე ფორმაში.



Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej



Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych

სამუშაო ადგილის აღჭურვის ხარჯების ანაზღაურება

პარ. 26ე კანონი რეაბილიტაციის შესახებ (...)

- 11 მარტი 2011 წ. შრომისა და სოციალური პოლიტიკის მინისტრის ბრძანება, რომელიც შეეხება შშმ პირის სამუშაო ადგილის აღჭურვის ხარჯების ანაზღაურებას (თავ. წეს. ნომ 62, პოზ. 317 შემდგომი ცვლილება)



სამუშაო ადგილის აღჭურვის ხარჯების ანაზღაურება

ასეთი დახმარებით შეუძლია ისარგებლოს დამსაქმებელმა, რომელიც:

- ასაქმებს შშმ პირს სულ ცოტა 36 თვის განმავლობაში, რომელიც დარეგისტრირებულია პოვიატის დასაქმების ბიუროში, არის უმუშევარი, ან არის სამსახურის ძიებაში(ამავდროულად უმუშევარი);
- აწარმოებს საქმიანობას სულ ცოტა 12 თვის განმავლობაში;
- არ იმყოფება მძიმე ფინანსურ სიტუაციაში: ევროკავშირის მიერ აღნიშნული საზოგადო დახმარების კრიტერიუმების თანახმად (30 ივნისი 2014 წ.)



სამუშაო ადგილის აღჭურვის ხარჯების ანაზღაურება

პირობები:

- შშმ პირის დასაქმება სულ ცოტა 36 თვით;
- ასაქმებს შშმ პირს სულ ცოტა 36 თვის განმავლობაში, რომელიც დარეგისტრირებულია პოვიატის დასაქმების ბიუროში, არის უმუშევარი, ან არის სამსახურის ძიებაში (ამავე დროს უმუშევარი);
- შრომის სახელმწიფო ინსპექციის დადებითი დასკვნა - სავალდებულო;
- ხარჯების ანაზღაურება - სტაროსტასა და დამსაქმებლის შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე;
- დახმარების რაოდენობა: **მაქსიმალურად 15 საშუალო ხელფასი**



სამუშაო ადგილის აღჭურვილობისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება

განაცხადი უნდა ჩაბარდეს:

1. ფონდში (PFRON) - იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი შემოაქვს სტაროსტას;
2. შესაბამისს სტაროსტას შშმ პირის, როგორც უმუშევარის დარეგისტრირების თანახმად - დანარჩენ შემთხვევებში.

განაცხადების წინასწარი შერჩევა, განხილვა და ხელშეკრულების დადება - შშმ პირის დასაქმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებისათვის აუცილებელი პროცედურის ანალოგიურად.



Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej



Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych

ტრენინგების ხარჯების ანაზღაურება

რეაბილიტაციის კანონის მ. 41 (...)

▪ 30 ივნისი 2009 წ. შრომისა და სოციალური
პოლიტიკის მინისტრის ბრძანება პირობებისა და
ტრენინგების ანაზღაურების შესახებ შშმ
პირთათვის
(თ. წეს. ნომ 57, შემ. 472 შემდგომი ცვლილებით)



ტრენინგების ხარჯების ანაზღაურება

ანაზღაურებას ექვემდებარება შემდეგი ხარჯები:

- ტრენინგის წამყვანების ხელფასი;
- ჟესტების ენის თარჯიმნის, უსინათლოთათვის ლექტორის ან გადაადგილებსთან დაკავშირებული მძიმე ხარისხის ინვალიდობის მქონე პირის ასისტენტის ანაზღაურება
- ტრენინგის წამყვანებისა და მონაწილეების მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება;
- შშმ პირის(რომელიც ეკუთვნის ზღვიერი შეზღუდვის დონეს) გიდი ან ასისტენტის მოგზაურობის ხარჯების ანაზღაურება;
- ტრენინგის წამყვანებისა და მონაწილეების დაბინავებისა და კვების, ჟესტების ენის თარჯიმნის, უსინათლოთათვის ლექტორის ხარჯების ანაზღაურება;



ტრენინგების ხარჯების ანაზღაურება


ანაზღაურებას ექვემდებარება შემდეგი ხარჯები (გაგრძელება):

- ტრენინგთან დაკავშირებული კონსულტირების ხარჯი;
- ტრენინგის რეალიზაციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული მომსახურების ხარჯები;
- ტრენინგის რეალიზაციასთან დაკავშირებული ფართის ქირის ხარჯები;
- ტრენინგებზე გამოყენებული საშუალებებისა და აღჭურვილობის ცვეთის ხერჯები, საჯარო თანხებით ბოლო 7 წლის განმავლობაში შეძენილი საშუალებების და აღჭურვილობის გარდა;
- სატრენინგო მასალების ხარჯები.



ტრენინგის ხარჯების ანაზღაურება

- სტაროსტასთან ხელშეკრულების საფუძველზე
- ტრენინგის არა უმეტეს 80 % ის
- **მაქსიმალურად:** ორმაგი საშუალო ხელფასი 1 პირზე



ტრენინგის ხარჯების ანაზღაურება


მეწარმესათვის ხარჯების ანაზღაურების რაოდენობა დამოკიდებულია:

- ტრენინგის სახეობა
- წარმოების სიდიდე (მცირე, საშუალო, დიდი)

ტრენინგის სახეობა	მეწარმეს სახეობა		
	მცირე	საშუალო	დიდი
ზოგადი	80%	80%	70%
დარგობრივი	55 %	45 %	35%



Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej



polska pomoc



Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych

შშმ თანამშრომლების ტრენინგების ხარჯების ანაზღაურების რეჟიმი

განცხადება უნდა ჩაბარდეს სტაროსტასთან,
დამსაქმებლის იურიდიული მისამართის
მიხედვით.

განცხადების საწყისი გადამოწმება და
შეთანხმების დადება – ანალოგიურად, როგორც
შშმ პირის დასაქმებასთან დაკავშირებული
დამატებითი ხარჯების შემთხვევაში.



Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej



Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych

შშმ პირების რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდში გადარიცხვები

- ვალდებულნი არიან გადაიხადონ:
დამსაქმებლები, რომლებიც ასაქმებენ 25
თანამშრომელს მაინც და დასაქმებულთა
შორის შშმ პირთა რაოდენობა არ აღწევს 6%.



Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej



Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych

გადასახადის ზომა

ტოლია თანხას, რომელიც შეადგენს
საშუალო ხელფასის 40,65 % და
თანამშრომელთა რაოდენობის (რამდენი
თანამშრომელი აკლია იმისთვის, რომ
მიადწიოს 6 %) ნამრავლს



შშპ პირების რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდში შესატანი თანხის შეღავათები

- შშპ პირების დასაქმების ინდექსის შემცირება
- შეღავათები შშპ პირების რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდში შემდეგი ხარჯების შემთხვევაში: მომსახურების ან დამსაქმებლის პროდუქციის ყიდვა, რომლის საწარმოშიც არის შშპ პირთა დიდი რაოდენობა მძიმე ან საშუალო ხარისხის ინვალიდობის და სამუშაო ბაზარზე ფუნქციონირებისათვის ხელისშემშლელი დაავადებების მქონე პირები.



Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej



Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych

დასაქმების ინდექსის შემცირება

შშმ პირთა დასაქმების მაჩვენებელი, რომელიც
ათავისუფლებს გადასახადებიდან (6%),
შეიძლება იყოს დაწეული იმ შემთხვევაში, თუ
დამსაქმებელმა დაასაქმა განსაკუთრებულად
რთული შშმ პირები,



დასაქმების ინდექსის შემცირება

დაავადებათა ნუსხა:

- პარკინსონის დაავადება,
- გაფანტული სკლეროზი,
- პარაპლეგია, ტეტრაპლეგია, ჰემიპლეგია,
- სიბრმავე ან მხედველობის დარღვევა,
- სმენია დაქვეითება და ყრუ-მუნჯობა,
- აივ-ის მატარებელი და შიდს-ის დაავადება, ეპილეფსია,
- ქრონიკული ფსიქიკურია დაავადებები,
- გონების დაქვეითება,
- მთავრობის,
- დიაბეტის გვიანი სტადია და გართულებები



დასაქმების ინდექსის შემცირება

ინდექსის შემცირების მეთოდი:

- 2 § აღწერილი მაგალითების მიხედვით 18 სექტემბრის 1998 წ. შრომისა და სოციალური პოლიტიკის მინისტრის ბრძანება ისეთი დაავადებების შესახებ, რომლებიც შშმ პირების დასაქმების ინდექსის შემცირებას იწვევს (თავ. წეს. 1998 წ. ნომ 124 პოზ. 820 შემდგომი ცვლილებებით)
- მძიმე ინვალიდობის ხარისხი – **3 ჯერ**
- საშუალო ინვალიდობის ხარისხი – **2 ჯერ**




შშმ პირების რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდში შესატანი თანხის შეღავათი

დამსაქმებელი, რომელსაც ჰყავს დასაქმებული 25
თანამშრომელი მაინც (სრული განაკვეთით) და
აღწევს დასაქმების 30% დონეს :

- მძიმე ინვალიდობის ხარისხით ან
- საშუალო ინვალიდობის ხარისხით უსინათლო, ფსიქიკურად დაავადებული, გონება დაქვეითებული, განვითარების სრული დარღვევით ან ეპილეპსიით.



Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej



polska pomoc



Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych

შშმ პირების მხარდაჭერის
ინსტრუმენტები, რომლებიც
უმუშევრები ან სამსახურის
ძიებაში(უმუშევრები) არიან




შშმ უმუშევარი პირები ან უმუშევარი და სამსახურის ძიებაში მყოფი პირები

შშმ პირებს, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან სახელმწიფო დასაქმების ბიუროში შეუძლიათ ისარგებლონ მაგ.:

- ა) ტრენინგები,
- ბ) სტაჟები,
- გ) ინტერვენციის სამუშაოები,
- დ) ზრდასრული პირების პროფესიული მომზადება,
- ე) სამედიცინო ან ფსიქოლოგიური გამოკვლევა, რაც აღნიშნულია პარ. 2 აქტ . 3 (კანონი დასაქმების და შრომის ბაზრის ინფორმაციის გავრცელების შესახებ),
- ვ) დამატებითი უმაღლესი განათლება,
- ზ) სატრენინგო კუპონები



Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej



polska pomoc



Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych

საზოგადო კოოპერატივისთვის ან კომერციული, სამეურნეო საქმიანობის დასაწყებად გამოყოფილი თანხა

პარ. 12ა კანონი რეაბილიტაციის შესახებ(...)

- 17 ოქტომბერი 2007 წ. შრომისა და სოციალური პოლიტიკის მინისტრის ბრძანება შშმ პირისათვის თანხის გამოყოფა საზოგადო კოოპერატივში შესატანად ან სამეურნეო, კომერციული საქმიანობის დაწყებისათვის (თავ. წეს. ნომ 194, პოზ. 1403 შემდგომში ცვლილებებით)




საზოგადო კოოპერატივში შესატანი ან კომერციულ, სამეურნეო საქმიანობის დასაწყებად გამოყოფილი თანხები

ვის მიიღებს:

- უმუშევარი შშმ პირობის მქონე დაარეგისტრირებულია სახელმწიფო დასაქმების ბიუროში, როგორც უმუშევარი ან სამსახურის ძიებაში (უმუშევარი)

თანხის რაოდენობა:

- ფინანსური დახმარების მაქსიმალური რაოდენობა უდრის **5-ჯერად საშუალო ხელფასს** (სტატისტიკის მთავარი სამმართველოს მიერ მიმდინარე კვარტლის პირველ დღეს გამოქვეყნებული ეროვნული ეკონომიკის წინა კვარტლის საშუალო თვიური ანაზღაურების ზომა)
- დახმარების რაოდენობას განსაზღვრავს ცივილური სამართლებრივი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მხარეების ვალდებულებებს (სტაროსტისა და შშმ პირის).




საზოგადო კოოპერატივში შესატანი ან კომერციულ, სამეურნეო საქმიანობის დასაწყებად გამოყოფილი თანხები

პირობები:

- კომერციული, სამეურნეო საქმიანობის ან კოოპერატივში გაწევრიანება - არა ნაკლებ 24 თვეზე.
- ზემო მოცემულ პერიოდში ითვლება:
 - ავადმყოფობის ვადა
 - სამხედრო სამსახურში მოწვევა
 - რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი პენსიის მიღების პერიოდი



Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej



polska pomoc



Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych

საზოგადო კოოპერატივში შესატანი ან კომერციული, სამეორნეო საქმიანობის დასაწყები თანხები, რომლებიც გამოეყოფათ შშმ პირებს

განცხადება უნდა ჩაბარდეს სტაროსტას, შშმ პირის
საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომელიც
დარეგისტრირებულია როგორც უმუშევარი ან
სამსახურის ძიებაში(უმუშევარი) მყოფი.

განაცხადის განხილვა და ხელშეკრულების
დადება-ანალოგიურად, როგორც დამატებითი
ხარჯების შემთხვევაში, რომლებიც
დაკავშირებულია შშმ თანამშრომლის
დასაქმებასთან.



Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej




Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych

შშმ პირების(რომლებიც
აწარმოვებენ კომერციულ
საქმიანობას) დასაქმების
მხარდაჭერის ინსტრუმენტები.



Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej



polska pomoc



Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych

დაზღვევის გადასახადების ანაზღაურება

– კომერციული საქმიანობა

პარ. 25ა წესტ. 1 პუნქტი 1 წესდების ▪ 9 იანვრის
200წ. შრომისა და სოციალური პოლიტიკის
მინისტრის ბრძანება, რომელიც შეეხება
დაზღვევის გადასახადების ანაზღაურებას შშმ
პირთათვის
(თავ. წეს. ნომ 8, პოზ. 42, შემდგომი
ცვლილებებით)



ვის შეუძლია მიიღოს ანაზღაურება

სადაზღვეო გადასახადის ანაზღაურება
შეიძლება მიიღოს შშმ პირმა, რომელიც
აწარმოებს კომერციულს საქმიანობას
ნებისმიერ:

- ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაში,
- დარგში,
- სფეროში.



ხარჯები, რომლებიც შეიძლება ანაზღაურდეს

შეიძლება ანაზღაურდეს შემდეგი ხარჯები –
სავალდებულო – დაზღვევის გადასახადი:

- საპენსიო,
- საპენსიო(შშმ პირთა ინვალიდების პენსია).

შეიძლება ანაზღაურდეს მხოლოდ
მთლიანობაში და დროულად გადახდილი
გადასახადების შემთხვევაში.



ანაზღაურების ზომა

ანაზღაურების ზომა არ შეიძლება აჭარბებდეს ზემო მოცემულ თანხებს:

- ანაზღაურების საბაზო თანხას,
- გადასახადების ანაზღაურებას, იმ შემთხვევაში თუ არ ფინანსდება საჯარო ბიუჯეტიდან.



ანაზღაურების საბაზო თანხა

ანაზღაურების საბაზო თანხა
დამოკიდებულია დღეების რაოდენობაზე,
რომლის დროსაც განმანაცხადებელი:

- აწარმოებდა კომერციულ საქმიანობას,
- იყო შშმ პირი აღნიშნული ინვალიდობის
ხარისხით.




ანაზღაურების საბაზო თანხა

ანაზღაურების საბაზო თანხა დამოკიდებულია შეზღუდული შესაძლებლობების დონეს. შშმ პირების ღრმა ინვალიდობის შემთხვევაში გადასახადების ანაზღაურება 100%, საშუალო ინვალიდობის შემთხვევაში – **60%**, მსუბუქის – **30%**.

საბაზო თანხა დამოკიდებულია დღეების რაოდენობაზე, რომელშიც განმანაცხადებელი ითვლებოდა შშმ მქონე პირად და ამავდროულად ჰქონდა ფირმა.



Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej



polska pomoc



Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych

სოციალურ ფონდში გადასახადების ანაზღაურება - გლახები და ოჯახის წევრები

კანონის მ. 25ა პ. 1 პ. 2

შრომის და სოც. პოლიტიკის ბრძანება 2009 წლის
9 იანვარი

შშმ პირთა სოციალური გადასახადების
ანაზღაურების შესახებ
(N 8, პ. 42, ცვლილებებით)



ვის შეიძლება აუნაზღაურდეს გადასახადები

სოციალური გადასახადის ანაზღაურება
შეიძლება მოითხოვოს შშმ მქონე ან
ჯანმრთელმა გლეხმა, რომელიც იხდის
შემდეგ გადასახადებს:

- შშმ გლეხი (მხოლოდ საკუთარ თავზე),
- შშმ ოჯახის წევრი.



გადასახადების ანაზღაურება

ანაზღაურებას ექვემდებარება -
სავალდებულო და არასავალდებულო –
გლეხების სოციალური გადასახადები:

- უბედური შემთხვევებისგან,
- ავადმყოფობის,
- დეკრეტის,
- საპენსიო-ინვალიდობის.

ანაზღაურება ხდება მხოლოდ დროული
გადახდის შემთხვევაში.



ანაზღაურების ზომა

ანაზღაურება არ შეიძლება აღემატებოდეს:

- ანაზღაურების საბაზო თანხას,
- ანაზღაურებად გადასახადებს, რომელიც არ ფინანსირდება საჯარო თანხებიდან.



Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej



Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych

ანაზღაურების საბაზო თანხა

ანაზღაურების საბაზო თანხა წარმოადგენს
ანაზღაურებად გადასახადების 100% .

არ არის დამოკიდებული მეწარმის ან ოჯახის
წევრის ინვალიდობის ვადის
ხანგრძლივობაზე, რომელიც შეიძლება
საანგარიშო თვის 1 დღე იყოს.



Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej



Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych

თანხის ანაზღაურების წესი – კანონის მუხ. 25ა პ. 1 პ 1 i 2



თანხის ანაზღაურების წესი

მეწარმის განცხადება თანხის ანაზღაურების შესახებ **Wn-U-G** ყოველთვიურად უნდა ჩაბარდეს თვის ბოლომდე, რომელშიც ამოიწურა გადსახადის გადახდის ვადა.

ფერმერის ან ოჯახის წევრზე თანხის ანაზღაურების შესახებ განცხადება **Wn-U-A** უნდა ჩაბარდეს კვარტალში ერთხელ მიმდინარე კვარტალის მეორე თვის 20 რიცხვამდე.



თანხის ანაზღაურების წესი

დანარჩენ შემთხვევებში ნაწილობრივად თანხის ანაზღაურების პროცედურა ანალოგიურია.

სხვაობას წარმოადგენს შშმ პირთა

რეაბილიტაციის ფონდის საკითხის განხილვის ვადები (**14 დღე** 25 დღის ნაცვლად).

შშმ პირთა რეაბილიტაციის ფონდს საკითხების განხილვის პროცესში **შეუძლია ისარგებლოს ჯანდაცვის სამსახურის მონაცემთა ბაზით**, რაც უადვილებს ანაზღაურების საფუძვლიანობის დადგენას.



პრობლემური გადაწყვეტილებები

- უმნიშვნელო დაგვიანება მცირე გადასახადების შეტანაში შეიძლება გამოიწვიოს თანხის ანაზღაურებაზე უფლების დაკარგვა



საბანკო კრედიტის 50 % -მდე დაფინანსება

დახმარება შეიძლება გაეწიოს შპმ პირს, რომელიც კერძო ან დაქირავებულ საწარმოს ხელმძღვანელობს იმ შემთხვევაში, თუ განმანაცხადებელს:

- არ აუღია კრედიტი ბიზნესის დასაწყისად, ან აღებული კრედიტი სრულიად დაფარულია,
- არ აუღია ბიზნესის დასაწყისის მიზნით ანარაისი დაფინანსება, ან საწარმოს მუშაობის ვადა აღემატება 24 თვეს დაფინანსების დღიდან .



საბანკო კრედიტის 50 % -მდე დაფინანსება

- დაფინანსების ზომა არ აღემატება საბანკო პროცენტული კრედიტის **50%** რომელიც აღებული იყო საქმიანობის გაგრძელების მიზნით;
- დაფინანსების ზომას განსაზღვრავს მხარეთა შორის დადებული **ხელშეკრულება** (სტაროსტას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის შორის);
- შშმ პირმა, რომელსაც აქვს სურვილი მიიღოს მსგავსი დახმარება, უნდა მიმართოს განცხადებით სტაროსტას (საკუთარი ან დაქირავებული) საწარმოს ადგილმდებარეობის შესაბამისად;
- აღნიშნული დახმარება წარმოადგენს დახმარებას de minimis.



სოციალური სამუშაო ბაზარი:

სოციალურ სამუშაო ბაზარს ქმნიან:

- სოციალური საწარმო
- პროფესიული აქტივობის საწარმო
- სოციალური სამუშაო ბაზარის დამსაქმებელნი გათავისუფლებულნი არიან გადასახადებიდან



სოციალური საწარმო

- დამსაქმებელი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობს არა ნაკლებ 12 თვისა.
- დასაქმებული ჰყავს არა ნაკლებ 25 თანამშრომელი (გადათვლილი სრულ განაკვეთზე).
- დასაქმებული ჰყავს მინ. 6 თვის განმავლობაში შშმ პირები, ანუ:
 - ✓ მინიმუმ 50%, მათ შორის დასაქმებულთა 20% შეადგენენ შშმ პირები ღრმა ან საშუალო ინვალიდობით, ან
 - ✓ მინიმუმ 30% უსინათლოები ან პსიქოკური დაავადების, ან და ინტელექტუალური ღრმა ან საშუალო ინვალიდობით;



სოციალური საწარმო

- საწარმოს შენობა-ნაგებობა:
 - შეესაბამება შრომის უსაფრთხოების და ჰიგიენის მოთხოვნებს,
 - გათვალისწინებულია შშმ პირთა საჭიროებები სამუშაო ადგილების, მისასვლელების, სვალი წერტილების ადაპტირების და ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით (აღნიშნულ პირობებს ამოწმებს შრომის სახელმწიფო ინსპექცია)
- უზრუნველყოფილია ზოგადი და სპეციალიზირებული სამედიცინო დახმარება, სარეაბილიტაციო მომსახურება და კონსულტაციები.



Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej



Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych

სოციალური საწარმო

პირობების შესრულების შემთხვევაში
გადაწყვეტილებას სოციალური საწარმოს
სტატუსის მინიჭების შესახებ გასცემს ვოევოდა
წინა სლაიდებზე პირობების შეუსრულებლობის
შემთხვევაში ვოევოდა ღებულობს
გადაწყვეტილებას აღნიშნული სტატუსის
ჩამორთმევის შესახებ

ვოევოდას გადაწყვეტილება შეიძლება იქნას
გასაჩივრებული სოციალური დაზღვევის
შესაბამის მინისტრთან.



Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej



Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych

სოციალური საწარმო

სოციალური მხარდაჭერის შესაბამისი მინისტრს და ასევე ვოევოდას შეუძლია ჩაატაროს პირობების და ვალდებულებების შესრულების კონტროლი მინიმუმ ორ წელიწადში ერთხელ.

შრომის სახელმწიფო ინსპექცია ატარებს სოციალური საწარმოს კონტროლს კანონის და სამუშაო პირობების შესრულების თვალსაზრისით მინ. 3 წელიწადში ერთხელ.

ვოევოდა და შრომის სახელმწიფო ინსპექცია წარუდგენს რწმუნებულს ინფორმაციას წინა წელს ჩატარებული კონტროლის შედეგების შესახებ მომდევნო წლის პირველი კვარტალის ბოლომდე.



Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej



Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych


მეტი ინფორმაცია იხილეთ:

www.niepelnosprawni.gov.pl

www.pfron.org.pl



Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej



polska pomoc



Biuro Pełnomocnika Rządu
ds. Osób Niepełnosprawnych

გმადლობთ
ყურადღებებისთვის!